სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
25.09.2013№ 167

თბილისი

სტუ-ს 2013 წლის 5 აგვისტოს № 137 ბრძანების
ნაწილობრივი ცვლილებებისა და
დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და ფაკულტეტების დეკანების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნაწილობრივ შეიცვალოს უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შესახებ (შიდა მობილობა) სტუ-ს 2013 წლის 5 აგვისტოს № 137 ბრძანება და დაემატოს 1^1, 4^1, და 6^1 პუნქტები:

„1^1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურზე (ბაკალავრიატი მაგისტრატურა, დოქტორანტურა) უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველებმა განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ ტექნიკურ უნივერსიტეტში 30 სექტემბერს. საბუთები მიიღება 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მესამე სართული, ოთახი №350);“

„4^1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა;“

„6^1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2013 წლის 1 ოქტომბრისა;“

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ. კლიმიაშვილს;
3. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში *ლ. კლიმიაშვილი*
სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*
იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი *გ. მაისურაძე*